აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ბაკალავრიატის საფეხურზე მიღების წინაპირობები და მათი ეფექტიანობა (საქართველოსა და OECD ქვეყნების შედარებითი ანალიზი)

თეა გვამბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით ბოსტოღანაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
თებერვალი,2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, თეა გვამბერიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თეა გვამბერიძეს მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **,,ბაკალავრიატის საფეხურზე მიღების წინაპირობები და მათი ეფექტიანობა (საქართველოსა და OECD ქვეყნების შედარებითი ანალიზი)“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: დავით ბოსტოღანაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: თეა გვამბერიძე

დასახელება: ,,ბაკალავრიატის საფეხურზე მიღების წინაპირობები და მათი ეფექტიანობა (საქართველოსა და OECD ქვეყნების შედარებითი ანალიზი)“

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ძირითადი საზრუნავია მომავალი თაობის განათლება, რაც როგორც საშუალო ასევე უმაღლეს განათლებას გულისხმობს. ყველა ნორმალური სახელმწიფო ფიქრობს ახალგაზრდა თაობის წინსვლასა და წარმატებაზე, რადგან ეს ძლიერი ქვეყნის წინაპირობაა.

თემის აქტუალობა: სახელმწიფოს სტრუქტურები სრულიად ჩართული უნდა იყვნენ სკოლის და უნივერსიტეტის განვითარებაში, ისინი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მათ წინსვლას და ეცადონ მსოფლიოს თანამედროვე სტარდარტებს მიუსადაგონ. კერძოდ, გამოცდების მეთოდების შემუშავება მოახდინონ ყველაზე გამართლებული მიდგომებით. სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი უშუალო კავშირშია ერთმანეთთან. მოსწავლემ სკოლაში მიღებული ცოდნით უნდა შეძლოს საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება, თუმცა არსებობს საგნები რომელიც სკოლაში არ ისწავლება და სავალდებულოა უმაღლესში ჩასაბარებლად. ქართულ სინამდვილეში დღესაც ხორციელდება ცვლილებები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, შესაბამისად სხვა ქვეყნების მაგალითების განხილვითა და შედარების ანალიზით გამოიკვეთება თუ რამდენად ეფექტიან მოდელს ქმნის ჩვენი სახელმწიფო.

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ეფექტიანობა და განსხვავება ადრეულ და დღევანდელ მდგომარეობაზე, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ფონზე, კვლევების, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების და უნივერსიტეტის ლექტორების მოსაზრებები და მისი ანალიზი.

კვლევის საგანია - უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად აუცილებელი გამოცდების გავლენა სტუდენტის პროფესიულ კავშირსა და განვითარებაზე.

კვლევის ობიექტი - უნივერსიტეტში ჩასაბარებელი გამოცდების მიმოხილვა, ადრეული და მიმდინარე მდგომარეობის ფონზე.

საკვლევი თემის ჰიპოთეზა - სავარაუდოდ, საქართველოში უმაღლეს სასწავლებელში მიღების წინაპირობები წინა წლებში უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე დღესდღეობითაა, რადგან ,,უნარები“ ზომავს როგორც ვერბალურ აგრეთვე

მათემატიკურ შესაძლებლობებს. ამ საკითხის უკეთ გასარკვევად, საკვლევი თემის ფარგლებში შესასწავლია ის ცვლილებები, რაც განხორციელდა უახლოეს წარსულში მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით და შედარებითი ანალიზის, თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგად გამოიკვეთება რამდენად მიესადაგება საქართველოში არსებული მოდელი განვითარებული OECD ქვეყნების განათლების თანამედროვე სტანდარტებს.

კვლევა ატარებს **თვისობრივ** და **რაოდენობრივ** ხასიათს დაფუძნებულია საქართველოს და უცხოური ქვეყნების მონაცემებსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუზე.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათელი გახდება და გამოიკვეთება უმაღლესში ჩასაბარებელი გამოცდების ვალიდობა რამდენიმე ქვეყნის ფონზე, ასევე საქართველოში ახალი რეფორმის ანუ უნარების საგნის მოხსნის ეფექტურობა.

Resume

The main concern of any developed countries is the education of the next generation in the world which means both of them secondary and the highest education. It is precondition of a strong country that every normal state thinks about the progress and success of younger generation.

The relevance of the theme: It is very important that state structures must be fully involved in the development of schools and universities, they are obliged to bring up educational system and exactly connect to the modern standarts of the world. In particular, to develop the exam methods with the best approaches. School and the highest school are connected with each other. The student should be able to pass university exams with the knowledge gained at school, although there are subjects that are not taught at school but are mandatory for higher education. Nowadays in Georgia still happens some changes about the admission requirements of higher educational institutions, so it will be revealed how effective is our model in creating our state by examining and comparing the examples of other countries.

The goal of the research is the effectiveness and difference between past and the current situation of the national exams in Georgia and other countries with using some researches, opinions and analysis from the last year pupils of school, students and lecturers.

The subject of the research is the influence of the necessary exams for entrance into the highest education on the student's career and development.

The object of the research is the review of the national exams between early and current situation for the bachelor's degree.

The hypothesis of the research topic – in previous years the highest education of Georgia was more effective than they are today, cause is that subject of "skills" has measures of verbal and mathematical abilities. To understand this topic better, it must be research what was the changes in the past recently and the comparative analysis, qualitative and quantitive researches. All of them will show us how developed is the current education model in Georgia and compare with the developed OECD countries.

The research includes qualitative and quantitive nature, it is based on depth interviews of data about Georgia and foreign countries.

Eventually, the results of the research will be clear and highlighted in several countries, as well as the effectiveness of the new reform about removing subject of “skills” in Georgia.

შინაარსი

შესავალი 1

თავი 1 ლიტერატურის მიმოხილვა 3

1.1 უმაღლესი განათლების მიღების წინაპირობები საქართველოში ბოლონიის პროცესში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ 5

1.2. ბოლონიის პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები 8

თავი 2. 2005 წლიდან დღემდე გატარებული ცვლილებები საქართველოში ბაკალავრიატის საფეხურზე მიღების წინაპირობებში 11

თავი 3. უცხოური ქვეყნების კვლევების მიმოხილვა 14

3.1. ბოლონიის პროცესის შეფასებების სხვადასხვა კვლევების ანალიზი 15

3.2. კვლევის მეთოდები 17

დასკვნა 34

რეკომენდაციები 35

გამოყენებული ლიტერატურა 37

დანართი 1. 39

შესავალი

ეს სამაგისტრო ნაშრომი არის მრავალფეროვანი, თუმცა თემები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან - ლიტერატურის მიმოხილვა, ბოლონიის პროცესი და საქართველოს კავშირი და კვლევების განხილვა, როგორც ჩემს მიერ ჩატარებული კვლევების ასევე სხვების. თავიდან დეტალურად არის განხილული ბოლონიის პროცესის რაობა, მისი დანერგვის პერიოდი საქართველოში, ასევე რა ცვლილებები განიცადა და დღევანდელი მდგომარეობით რა ეტაპზეა. თემაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საქართველოზე, კერძოდ ბაკალავრიატის საფეხურის მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე და ახალი რეფორმის შესახებ რომელიც გულისხმობს საატესტატო გამოცდებისა და საგან ,,უნარები"-ს გაუქმებას, თუმცა უფრო მეტად ყურადღება გამახვილებულია ,,უნარები"-ს აკრძალვაზე, აღსაღნიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა უნივერსიტეტს არ გაუუქმებია ეს საგანი და ზოგიერთი პროფესიის მიხედვით დატოვეს სავალდებულო.

ხოლო, რაც შეეხება სხვა დანარჩენ ნახსენებ ქვეყნებს, მაგალითის სახით შედარებით მცირე ინფორმაციაა წარმოდგენილი. ნაშრომის შუა ნაწილი ეთმობა ჩემს მიერ ჩატარებული და ასევე სხვისი კვლევების ანალიზსა და შედეგებს. შემდგომ კი საუბარია რამდენიმე OECD ქვეყანაზე და მოკლე მიმოხილვაა თუ რა მდგომარეობაა უცხოეთში. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე საუკეთესო და წარმატებული საგანმანათლებლო მეთოდი არის გერმანული მოდელი , რომლის მისაღწევადაც საქართველო მზად არ არის და ალბათ ვერ შეძლებს მიახლოებას სულ მცირე რამდენიმე დეკადის განმავლობაშიც, ამის შესახებ უფრო ფართოდ ქვემოთ იხილავთ.

ნაშრომის დასასრულში დასკვნის სახით მოცემულია თემის შეჯამება, მას მოსდევს რეკომენდაციები რომელშიც ზედმიწევნით არის გაწერილი, თუ რა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო დაწესებულებებმა, უნივერსიტეტებმა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და რომელი ხერხი იქნება უფრო გამართლებული საქართველოს განათლების სისტემის უკეთ

ფორმირებისათვის. სამაგისტრო ნაშრომს ასევე ახლავს დიაგრამები, ცხრილები, გამოყენებული ლიტერატურა და დანართები, რომელიც გამოყენებული იყო კვლევების ჩატარების დროს კითხვარის სახით.

საბოლოოდ, სახელმწიფო სტრუქტურები და სამთავრობო ორგანოები უნდა ზრუნავდნენ საზოგადოებას მისცემ სათანადო განათლება, რომელიც სრულიად მიესადაგება მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტებს, რადგან განათლებული მოსახლეობა ძლიერი ქვეყნის საწინდარია. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და რთულია სწრაფი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს: ,,მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი". არამარტო მთავრობის წარმომადგენლები, არამედ თითოეული ჩვენგანი უნდა ვეცადოთ და მივცეთ განათლებას სწორი ფორმირება, ამ საკითხის მოგვარება კი უნდა დაიწყოს სასკოლო სისტემიდან, ჯერ საფუძველი უნდა იყოს მყარი რომ შემდეგ ადვილად შევძლოთ მწვერვალზე ასვლა. სამწუხაროდ, ახალი რეფორმების ფონზე უფრო უკან დაიხია განათლების სისტემამ და თუ არ გატარდა სწორი ცვლილებები, კარგ შედეგს არ უნდა ველოდოთ.

თავი 1 ლიტერატურის მიმოხილვა

დღეისათვის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მთავარი მისია არის ისეთი მოქალაქის აღზრდა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე. სწორედ ამითაა განპირობებული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში საერთაშორისო განათლების კომპონენტების ინტეგრაციას. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესი გულისხმობს გლობალური კულტურათშორისი საკითხების წინ წამოწევასა და მათ ჩართვას უნივერსიტეტის ფუნქციასა და ქმედებებში.[1]

თანამედროვე მსოფლიოში არსებულ აქტუალურ საკითხებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე საკითხებს. ეს თემა პრობლემატურია როგორც განვითარებად ასევე განვითარებულ ქვეყნებში. მათ შორის, საქართველოშიც. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ბოლონიის პროცესის შეფასება. იმ ფუნდამენტური ცვლილებების განხილვა,რომლებიც განხორციელდა ბოლონიის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, ასევე, ხარვეზების, რომლებიც ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული ცვლილებების მიუხედავად, მაინც დგას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის წინაშე.

ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ, მოთხოვნილი საკითხების განხორციელება მნიშვნელოვანია ყველა წევრი ქვეყნისთვის და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები საქართველოში აქტუალობას არ კარგავს ამ პროცესში ჩართვიდან 12 წლის შემდეგაც კი. ალბათ, მომავალშიც დიდი ხნის განმავლობაში კვლევის ცენტრში იქნება.

ჩემი ნაშრომის **კვლევის საგანს** წარმოადგენს სტუდენტების დამოკიდებულებების შესწავლა ბოლონიის პროცესის ფარგლებში

[1]STRATEGY OF INTERNATIONALIZATION FOR THE HIGHER EDUCATION SYSTEM (ON THE EXAMPLE OF GEORGIA),Eka Chokheli, Associate Professor, Department od Management and Administration Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Scientific Journal, published on 30.07.2015.

განხორციელებული რეფორმებისადმი შედეგების შეფასება და რაც მთავარია ახალი რეფორმის უნარების გამოცდის მოხსნის განხორციელებასთან დაკავშირებით ლექტორებისა და აბიტურიენტების დამოკიდებულება.

ვფიქრობ, ეს თემა დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია ვინაიდან საზოგადოება ვერ იქნება დემოკრატიული, თუ განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები არ იქნება ფუნდამენტური და სწორად მორგებული ქვეყნისთვის. ნაშრომის ძირითადი ნაწილი სტრუქტურულად შედგება ოთხი თავისაგან. თითოეული თავი დაყოფილია ორ ქვეთავად. ნაშრომს ახლავს შესავალი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველ თავში განიხილება ბოლონიის პროცესის ზოგადი მიმოხილვა, ბოლონიის დოკუმენტები, ასევე, ბოლონიის პროცესის შედეგად განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ფასდება დადებითად ან უარყოფითად. **მეორე თავში** ასახულია 2019 წლის ცვლილებები ბაკალავრიატის საფეხურზე მიღების წინაპირობებში, ამ საკითხთან დაკავშირებითაც ვაწარმოე კვლევა და გავაკეთე მისი ანალიზი. **მესამე თავში** დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა. განხილულია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევები, რომელიც მიმოიხილავს სტუდენტების დამოკიდებულებას ბოლონიის პროცესის განხორციელების შედეგად მიღწეულ შედეგებზე, ასევე ბოლონიის პროცესის შეფასებების სხვადასხვა კვლევის ანალიზი.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობითა და აღნიშნული მასალების დახმარებით, დასკვნით ნაწილში შესაძლებელი გახდა, შემეჯამებინა საქართველოში ბოლონიის პროცესში ჩართვის შედეგად დღეს არსებული ვითარება და გამეკეთებინა რეკომენდაციები.

1.1 უმაღლესი განათლების მიღების წინაპირობები საქართველოში ბოლონიის პროცესში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ

გლობალიზაციამ მსოფლიოს წინაშე ახალი გამოწვევები დააყენა. 21-ე საუკუნეში კაციობრიობა ცხოვრობს მუდმივად ცვალებად გარემოში. ცვლილებები შეინიშნება ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ტექნოლოგიებში, მეცნიერებასა და მათ შორის განათლებაშიც. ასეთმა რეალობამ შეცვალა განათლების როლი განსაკუთრებით უმაღლეს დაწესებულებებში.

დღეისათვის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მთავარი მისია არის ისეთი მოქალაქის აღზრდა, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე. სწორედ ამითაა განპირობებული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში საერთაშორისო განათლების კომპონენტების ინტეგრაციას. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესი გულისხმობს გლობალური კულტურათშორისი საკითხების წინ წამოწევასა და მათ ჩართვას უნივერსიტეტის ფუნქციასა და ქმედებებში.[2]

როგორც ცნობილია, 1999 წლის 19 ივნისს, ევროპის 29 ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრებმა მსოფლიოს უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში ხელი მოაწერეს ბოლონიის დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის პროცესს. ამჟამად ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 49 ქვეყანა.[3]

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნისათვის სამზადისი უფრო ადრე დაიწყო. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორიცაა: უნივერსიტეტის დიდი ქარტია(1988), ლისაბონის კონვენცია(1997) და სორბონის დეკლარაცია(1998). რაც შეეხება პრაღისა და ბერლინის კომუნიკეს, გრაცისა და სალამანკის დოკუმენტებს,

[2]STRATEGY OF INTERNATIONALIZATION FOR THE HIGHER EDUCATION SYSTEM (ON THE EXAMPLE OF GEORGIA),Eka Chokheli, Associate Professor, Department od Management and Administration Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Scientific Journal, published on 30.07.2015.

[3]ბოლონიის პროცესი (http://eqe.ge/geo/static/311/Internationalization/Bologna-Process) მოძიებულია 29.11.2020 წელი

სტუდენტთა გიოტებორგის დეკლარაციას პროცესის შემდგომი მიმდინარეობისას შეიქმნა. ბოლონიის პროცესი დინამიურად და აქტიურად ვითარდება.[4]

საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წელს ბერგენის სამიტზე, რაც წარმოადგენდა რეფორმების გატარების საფუძველს განათლების სისტემაში. ვითარება იყო ძალიან რთული, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში - კორუფცია და ფინანსური კრიზისი. გარდა ამისა, შეინიშნებოდა განათლების სტრატეგიული დაგეგმვისა, ინოვაციური სწავლების და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ნაკლებობა.[5]

ბოლონიის პროცესში ჩართვა მოითხოვს ყველა წევრი ქვეყნისთვის ხარისხის ერთიანი სისტემის შემოღებას, რომელიც გულისხმობს სწავლების სამსაფეხურიან სწავლებას: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ბოლონიის პროცესით გათვალისწინებული ხარისხის ერთიანი სისტემის დანერგვა კვალიფიკაციათა ჩარჩოების შექმნასაც მოიცავს ეროვნულ დონეზე, რომლებიც თანხვედრაში იქნება ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურასთან, რაც, თავის მხრივ ხელს შეუწყობს სტუდენტთა მობილობას.[6]მობილობა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მხრივ საინტერესოა ERASMUS -ის გაცვლითი პროგრამების მიმოხილვა საქართველოში.

ცხრილი 1.1. Erasmus Mundus-ის დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები საქართველოში[7]:

წელი	ბოლო კურსის	მაგისტრის სტუდენტი	დოქტორანტურის სტუდენტი	კვლევაზე მომუშავე	უნივერსიტეტის თანამშრომლები	სულ

[4]„ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები“, გვ.5. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი, 2005 წელი.

[5]Glonti, L., & Chitashvili, M. (2006). The Challenge of Bologna. The Nuts and Bolts of Higher Education Reform in Georgia

[6]ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,გვ 14-15, ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო, 2016 წელი

[7]STRATEGY OF INTERNATIONALIZATION FOR THE HIGHER EDUCATION SYSTEM (ON THE EXAMPLE OF GEORGIA),Eka Chokheli, Associate Professor, Department od Management and Administration Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Scientific Journal, ublished on 30.07.2015.

	სტუდენტი			დოქტორანტი		
2007	16	14	11	5	3	49
2008	23	14	13	5	3	58
2009	22	17	12	5	3	59
2010	18	15	10	3	4	50
2011	18	12	13	8	9	60
2012	79	68	72	34	45	298
2013	92	65	51	22	43	273
სულ	268	205	182	82	110	847

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია კრედიტების სისტემის დანერგვა - ერთიანი ინსტრუმენტის შემუშავება. ამ სისტემის ფარგლებში სტუდენტებს უფლება ეძლევათ საზღვარგარეთ სწავლის შედეგად მიღებული კრედიტების აღიარება მოითხოვონ მათსავე მშობლიურ უნივერსიტეტში, იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც სწავლობდნენ ხარისხის მისაღებად სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სახელმძღვანელო, რომლის განახლებული ვერსია დამტკიცდა 2015 წლის ერევნის სამიტზე.[8]

განათლების ხარისხის უზრუნველყოფაც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზომილებაა, რომელიც ხაზგასმულია არა მხოლოდ სხვადასხვა კომუნიკესა და ბოლონიის ნორმატიულ დოკუმენტებში, არამედ, თავად ბოლონიის დეკლარაციაშიც.

ბერგენის სამიტზე ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებმა წინა პლანზე წამოწიეს განათლებასა და კვლევას შორის მჭიდრო კავშირის საჭიროება. აკადემიურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, ასევე, ევროპული სივრცის კონკურენტუნარიანობის გაზრდის კუთხით. კვლევის მნიშვნელობის

[8]ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,გვ 19-20, ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო, 2016 წელი

ხაზგასმამ წინა პლანზე წამოსწია დოქტორანტურის საფეხურის მნიშვნელობაც, რომელიც მოიცავს როგორც სწავლების, ისე კვლევის კომპონენტებს.[9]
რაც შეეხება ბოლონიის პროცესის შედეგად განხორციელებული მოვლენების დადებით და უარყოფით მხარეებს, ამაზე ვიმსჯელებ შემდეგ ქვეთავში.

1.2. ბოლონიის პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ბოლონიის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში საკმაოდ ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა:

- შემოღებულია სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა);
- ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ამოცანის ადვილად გასაგები და შესადარებელი კვალიფიკაციების შემოღების-რეალიზაციის მიზნით, უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია დიპლომის დანართი(ქართულ და ინგლისურ ენებზე), სადაც დეტალურად არის გაწერილი სტუდენტის მიერ გავლილი საგნები, დაგროვილი ECTS კრედიტები და სხვა საჭირო პრაქტიკული ინფორმაცია;
- დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა;

შეიქმნა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ავტორიზაციასა და პროგრამული აკრედიტაციის პროცედურებზე. ეს კი ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზომილებაა, რომელიც

- ხაზგასმულია ბოლონიის დეკლარაციაში(1999წ).[10] ასევე, ბერლინის კომუნიკეს თანახმად, (2009წ) პროცესში მონაწილე ყველა წევრი ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს ხარისხის განვითარებას;

[9]ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,გვ 43, ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო, 2016 წელი
[10]Bologhna declaration (http://www.eees.es/pdf/bolognaEUA.pdf) Accepted on November 2017

- სახელმწიფო უნივერსიტეტებში კანონით განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების დანერგვის აუცილებლობა.

მიუხედავად ბოლონიის პროცესის ფარგლებში განხორციელებული რეფორმებისა, ამ რეფორმას თან ახლდა გარკვეული ხარვეზებიც:

1. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერირების ევროპულ სისტემაზე გადასვლას ბევრი დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამან ხელი შეუწყო საერთაშორისო მობილობის გაზრდას, რაც უდავოდ ბოლონიის პოზიტიურ შედეგად აღიქმება, თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ თავდაპირველად აკადემიური პერსონალისთვის რთული იყო არა მხოლოდ კრედიტების სისტემის აზრი, არამედ, დაანგარიშების წესიც. ხშირად ხდებოდა სილაბუსებში გაწერილი კრედიტების კოპირება და ფორმალურ დონეზე გაწერა, ხოლო საგნის შინაარსობრივი სპეციფიკა გათვალისწინებული არ იყო;[11]
2. 2011 წლის სექტემბერში ტემპუსის პროგრამის ფარგლებში („ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“) მოხდა აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცესის შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ. შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- აკრედიტაციის პროცესი არის პროცედურაზე ორიენტირებული, რთული და შესაძლოა სუბიექტურიც კი;
- აკრედიტაციის სტანდარტები არ არის მკაფიოდ ფორმირებული და გასაგები;
- აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს მეტისმეტად სწრაფად და უარყოფითად აისახება მის ხარისხზე;
- ხორციელდება ეროვნულ დონეზე და მასში არ მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპერტები და სააგენტოები.[12]

---

[11]ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,გვ 19-20, ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო, 2016 წელი

[12]უმაღლესიგანათლებისადამეცნიერებისსტრატეგიულიგანვითარებასაქართველოში, ხარისხის განვითარება, ექსპერტი ირინე დარჩია

3. აკრედიტაციის მნიშვნელოვანი ნაკლია ისიც, რომ დღეს სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია ზუსტად იმავე კრიტერიუმებით ფასდება, რომლითაც ბაკალავრი და მაგისტრატურა. მაშინ, როცა უმაღლესი განათლების პირველი და მეორე დონისგან განსხვავებით, დოქტორანტურაში აქცენტი კვლევაზე კეთდება და არა სწავლებაზე. ამ კომპონენტს, ასევე თვისობრივად ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს, როგორიცაა:

- სწავლებისა და კვლევის ფორმალური ხასიათი;
- დარგობრივი კურსების არ არსებობა;
- რაც მთავარია, დოქტორანტის დაფინანსების პრობლემა.[13]

ჩატარებულ კვლევაში მითითებულ ხარვეზებს იზიარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შესაბამისად, 25 აგვისტოს მონაცემებით, პირველად საქართველოს განათლების ისტორიაში, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით იწყებს. ექსპერტთა ჯგუფს შეადგენენ ლიტვისა და კვიპროსის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების აკრედიტაციის ექსპერტები და კვიპროსის ღია უნივერსიტეტის პროფესორი პანთელის იფსილანთისი.[14]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლონიის პროცესში ჩართვა და დასავლეთის გამოცდილების გამოყენება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისთვის გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენაა. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ ბევრი კომპონენტი ფორმალურად შესრულდა და საჭიროებს დახვეწას.[15]

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე ცხადია, რომ განათლების ხარისხის გასაზრდელად საჭიროა, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას როგორც სახელმწიფოს, ისე თვითონ უნივერსიტეტების მხრიდანაც.

---

[13]ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,გვ 54-55, ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო, 2016 წელი

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით (http://www.mes.gov.ge/content.php?id=7611&lang=geo) მოძიებულია 12.11.2020წ.

[15]ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,გვ 21-22, ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო, 2016 წელი

თავი 2. 2005 წლიდან დღემდე გატარებული ცვლილებები საქართველოში ბაკალავრიატის საფეხურზე მიღების წინაპირობებში

2005 წელს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების ძველი, საბჭოური სისტემა ახლით შეიცვალა. მისაღები გამოცდების ახალი მოდელის დანერგვა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება ქვეყანაში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დანერგილი მოდელი შეფასების სამართლიან, გამჭვირვალე, უნიფიცირებულ, მერიტოკრატულ პრინციპებზე დამყარებული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევას უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს:

- სტანდარტიზებულ შერჩევას;
- უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას;
- სახელმწიფო გრანტის გაცემას საუკეთესო სტუდენტებზე;
- ფართო არჩევნის შესაძლებლობას.

2018 წლიდან არჩევით საგნებში გამოცდა მხოლოდ ქართულ ენაზე ტარდება. სპეციფიკიდან გამომდინარე, ცვლილება არ შეეხო ზოგადი უნარების გამოცდას, იგი ტარდება ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. [16]

ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეეგ) მაღალი რისკის შემცველი გამოცდაა, რადგან იშვიათი გამონაკლისების გარდა, მისი შედეგები ერთადერთი კრიტერიუმია, რომელიც განაპირობებს არა მხოლოდ იმას, მოხვდება თუ არა აბიტურიენტი ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში, არამედ განსაზღვრავს იმასაც, მიიღებს თუ არა სტუდენტი სახელმწიფო დაფინანსებას სწავლისათვის. 2005 წლიდან არაერთხელ შეიცვალა გამოცდების რაოდენობა, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, სახელმწიფო გრანტის გაცემის წესი, ტესტების

[16] https://naec.ge/#/ge/post/1493

სტრუქტურა და შინაარსი, გამოცდების ორგანიზების წესები, თუმცა უცვლელი რჩება ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ძირითადი პრინციპი. ამჟამად უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველი ყველა ახალგაზრდა აბარებს ოთხ გამოცდას: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ზოგადი უნარები და მეოთხე საგანი, რომელსაც უნივერსიტეტი ირჩევს. ოთხ გამოცდაში მიღებული ქულებით დგება აბიტურიენტთა ერთიანი რანჟირებული სია, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტები ნაწილდებიან საკუთარი არჩევნის შესაბამის უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებზე. სკოლის გამოსაშვები გამოცდები საქართველოში ცენტრალიზებულად ტარდება 2011 წლიდან 8 სასკოლო საგანში. ამ საგნებიდან ოთხი - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია მე-11 კლასის ბოლოს ტარდება, ხოლო ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა და ისტორია - მე-12 კლასის ბოლოს. სკოლის გამოსაშვები გამოცდების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი სიახლე იყო ის, რომ ეს გამოცდები სკოლებში ტარდება ეეგისგან განსხვავებული წესით - კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების მეთოდით. 2011 წლიდან გამოსაშვები გამოცდები ტარდება 8 საგანში და ამ გამოცდებში კომპეტენციის მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე გაიცემა საშუალო განათლების ატესტატი. ორივე - ეეგ და სკოლის გამოსაშვები გამოცდები - სტანდარტიზებული გამოცდაა, რომლებსაც ცენტრალურად ატარებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. მიუხედავად ამისა, ამ ორ გამოცდას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. უპირველეს ყოვლისა, განსხვავდება მათი ფუნქციები: პირველის მიზანია, მონაწილეები ერთმანეთს შეაჯიბროს და მათ შორის საუკეთესოები შეარჩიოს; მეორე კი მონაწილეების კომპეტენციას ამოწმებს წინასწარ დადგენილ სტანდარტთან მიმართებაში. ასე რომ, ეეგ თავისი არსით სასელექციო გამოცდაა, სკოლის გამოსაშვები გამოცდა კი - სასერტიფიკატო. მეორე განსხვავება ამ ორ გამოცდას შორის არის ტესტების შინაარსი და ფორმატი: სკოლის გამოსაშვები გამოცდების ტესტები ამჟამინდელი სახით უფრო ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, ტესტური დავალებები წარმოადგენს შეკითხვებს არჩევითი პასუხებით; ეეგ-ის ტესტები კი უფრო მრავალფეროვან დავალებებს

მოიცავს და, ფაქტობრივ ცოდნასთან ერთად, მაღალ სააზროვნო უნარებსაც ამოწმებს. [17]

2019 წელს დამტკიცდა რეფორმა უნარების როგორც უმაღლესში ჩასაბარებელი სავალდებულო საგნის მოხსნის თაობაზე და სწორედ ამიტომ აბიტურიენტს აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილების მიხედვით ჩააბაროს უნარები ან უარი თქვას მასზე და ჩაანაცვლოს სხვა არჩევითი საგნით.

ამ ბოლო რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი მიზეზი კი შესაძლებელია იყოს ეს ფაქტორი - მოსიაშვილი, 2014; ჯაყელი, 2013; ნეტგაზეთი, 2012; ტაბატაძე, 2012). 2018 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საქართველოს განათლების სექტორში შეფასების სისტემების ანალიზის შედეგად ორგანიზაციის ექსპერტებმა დასკვნეს, რომ საქართველოში ამჟამად არსებული გამოცდების სისტემა (როდესაც სტანდარტიზებულად ტარდება როგორც სკოლის, ასევე უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები) არაეფექტურია და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გადახედვას საჭიროებს (Fordham and Li, 2018). სწორად ასე მიაჩნიათ ქვემოთ მოყვანილი OECD ქვეყნებშიც, რომელიც ზედმიწევნით არის დაკონკრეტებული გერმანიის ფონზე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სტანდარტიზებული შეფასებების ჩატარება ცენტრალურ დონეზე. სტანდარტიზებული გამოცდა/შეფასება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული შეფასებისაგან განსხვავებით, საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სტუდენტების, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების მიღწევები ქვეყნის/რეგიონის/სკოლის მასშტაბით. სტანდარტიზებული გამოცდა ობიექტურია იმ თვალსაზრისით, რომ შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის ინდივიდუალურ მიდგომებსა და დამოკიდებულებაზე.

სტანდარტიზებული შეფასება შესაძლოა გამოიყენებოდეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი მიზნით.[18]

[17] https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/კვლევის%20ანგარიში.pdf?fbclid=IwAR0_v8h-omuYuQWs-0zQb6Ng8Ceu9EA-jca4HbfaBknKpu6W44EH0gfVTxI

თავი 3. უცხოური ქვეყნების კვლევების მიმოხილვა

2015 წლის **PISA**-ს კვლევის შედეგები მოიცავს ინფორმაციას რამდენიმე ქვეყნის შესახებ განათლების მიღებას გენდერული ჭრილით. მასში მოცემულია მეცნიერების, პოლიტიკისა და მთავრობის გავლენა მოსწავლის განათლების ხელშესაწყობად. აგრეთვე, თუ რა მიზნით შეირჩევიან და აჯგუფებენ სტუდენტებს **OECD** ქვეყნებში. [19]

ხოლო 2018 წლის **PISA**-ს კვლევაში მოცემულია შემეცნებითი პროცესების ამსახველი მაგალითები, რის მიხედვითაც დგინდება მოსწავლის **IQ ,** მაგ:. ქათმის ფორუმი, ძროხის რძე, გალაპაგოსის კუნძულები და ა.შ. ტესტები თანდართულია კომენტარებით და პრობლემის გადაჭრის გზით. [20]

სწორედ **PISA** - კვლევების გამო გადავწყვიტე გამეკეთებინა OECD ქვეყნებთან პარალელის გავლება და მათი განათლების სისტემის ანალიზი.

იტალია- ში **PISA**-ს კვლევების მონაცემების მიხედვით, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოსაზრებები განსხვავებულია. კერძოდ 2013 წელს მასწავლებლები კლასში დისციპლინას კარგ შეფასებას აძლევენ, ხოლო 2015 წლის კვლევაში მოსწავლეები ამ ფაქტორს საშუალო დონეზე აფასებენ, ასევე ისინი მიიჩნევენ რომ მეცნიერული დარგის სწავლების დონე ძალიან დაბალია და უკმაყოფილებას გამოხატავენ. 2015 წელს იტალიის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი 107/2015, რომელიც ცნობილია როგორც კარგი სკოლის რეფორმა (*The Good School reform*). [21]

ესპანეთი-ს განათლების სისტემას ხელმძღვანელობენ განათლების ეროვნული და რეგიონალური სამინისტროები, ისინი ეროვნულ დონეზე

---

[18] https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/კვლევის%20ანგარიში.pdf?fbclid=IwAR0_v8h-omuYuQWs-0zQb6Ng8Ceu9EA-jca4HbfaBknKpu6W44EH0gfVTxI

[19] https://www.oecd.org/pisa/pisa-2015-results-in-focus.pdf

[20] http://www.oecd.org/pisa/test/PISA-2018-Released-New-REA-Items.pdf

[21] http://www.oecd.org/education/Education-Policy-Outlook-Country-Profile-Italy.pdf

განსაზღვრავენ საერთო ჩარჩოსა და სახელმძღვანელოს მითითებებს. განათლების მიზნები შეესაბამება ევროკავშირის 2020 წლის პრიორიტეტებს. სკოლების შესახებ გადაწყვეტილებების უმრავლესობა მიიღება რეგიონულ დონეზე და უფრო მცირე ზომით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ სკოლებისთვის ინდივიდუალურად, შეზღუდული ავტონომიით. [22]

გერმანია ერთ-ერთი უძლიერესი განვითარებული ქვეყანაა, იქ რა თქმა უნდა ყვავის განათლების სფერო, ამ აზრის უფრო მეტად გამყარების მიზნით, მოკლედ განვიხილავ უახლეს კვლევას, რომელიც ამა წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა. კვლევაში აქცენტი გაკეთებულია განათლებასთან მიმართებაში ამ საკითხებზე- საკუთარი თავის რწმენა, მეცნიერება, ინტერდისციპლინური სწავლება, მასწავლებელთა განათლების მნიშვნელობა და ა.შ. (Kevin Handtke and Susanne Bögeholz, 2019).[23] მასში დეტალურად არის გაწერილი ყველა ის მნიშვნელოვანი თემა, რომელიც უშუალო კავშირშია განათლებასთან.

თითოეული მოსწავლისათვის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, სტუდენტების მთავარი მიზანია გამოცდის ჩაბარება. ტრადიციული გამოცდების გამოყენება არ არის სწორი გზა, რადგან ზუსტად ვერ განსაზღვრავს მოსწავლის შესაძლებლობებს.(Advances in Intelligent Systems and Computing 951, pp. 295-301, 2020)[24]

3.1. ბოლონიის პროცესის შეფასებების სხვადასხვა კვლევების ანალიზი

განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით განახორციელა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს უმაღლესი

[22] https://www.oecd.org/spain/41014632.pdf

[23] https://www.mdpi.com/2227-7102/9/4/247

[24] https://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-030-20005-3_30

განათლების რეფორმის შეფასება. კვლევაში ჩართული იყო საქართველოს მასშტაბით ყველა აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებელი.

კვლევის ზოგადი ინფორმაცია შეიცავდა :

- **სახელსა და გვარს**
- **თანამდებობას**
- **საკონტაქტო ტელეფონს**
- **უმაღლესი სასწავლებლის სრულ დასახელებას**

თავდაპირველად ინტერესის სფეროს წარმოადგენდა სწავლების საფეხურები, თუ რომელი საფეხურები არსებობდა აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში :

- **ბაკალავრიატი**
- **უმაღლესი პროფესიული პროგრამები**
- **ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამები**
- **მაგისტრატურა**
- **დოქტორანტურა**

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკითხეს სწორედ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები. კითხვარიდან გამომდინარე, ინტერესი მიმართული იყო ძირითადად იმისკენ, თუ როგორ ფინანსდებოდნენ მაგისტრატურის სტუდენტები, როგორი იყო მაგისტრატურაზე მიღების წინაპირობა, მოქმედებს თუ არა დოქტორანტის კონტროლისა და შეფასების პროცედურები და ა.შ.

კვლევა, ასევე, ითვალისწინებდა, აღნიშნავდა თუ არა უნივერსიტეტი იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობას, რომლებიც იყვნენ დასაქმებულნი.

კითხვარი ასევე შეიცავდა შემდგომ კითხვებს:

1. ჰქონდათ თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2. რამდენი ადამიანი მუშაობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში
3. ჰქონდათ თუ არა დებულება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

აგრეთვე, კვლევის ნაწილს წარმოადგენდა ერთ-ერთი აქტუალური საკითხი: **<u>მობილობა</u>**, რომელიც ითვალისწინებდა:

1. უმაღლესი სასწავლებლის შიგნით სტუდენტების მიერ ფაკულტეტებს შორის ცვლილებას.
2. საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსულ სტუდენტებს
3. საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადასულ სტუდენტებს
4. უცხოური უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსულ სტუდენტებს
5. უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში გადასულ სტუდენტებს.[25]

კვლევის კითხვარში, ასევე, გათვალისწინებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველები, ბენეფიციარები, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, დავალიანების გამო გარიცხული სტუდენტები და ა. შ.

3.2. კვლევის მეთოდები

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანს წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ეფექტიანობა, ბოლონიის პროცესის დანერგვა საქართველოში და მისი გავლენა, ასევე განსხვავება ადრეულ და დღევანდელ მდგომარეობაზე საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ფონზე, კვლევების, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორების მოსაზრებები და მისი ანალიზი. ჩემი მიზანია გავარკვიო, რამდენად განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში განათლების კუთხით და შეესაბამება თუ არა ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული განათლების რეფორმები ევროპული ქვეყნების სტანდარტებს.

კვლევის მეთოდი - **რაოდენობრივი და თვისობრივი:**

- ❖ ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით - სამ სახელმწიფო და სამ კერძო უნივერსიტეტში: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო

[25]**უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, ფგანათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.** თბ., 2013.

უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

- ❖ პირისპირი, ჩაღრმავებული ინტერვიუ წლევანდელ აბიტურიენტებთან (ჩაღრმავებული ინტერვიუ თბილისის 141-ე და 30-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეებთან)
- ❖ პირისპირი, ჩაღრმავებული ინტერვიუ ლექტორებთან (ჩაღრმავებული ინტერვიუ იმ უნივერსიტეტების ლექტორებთან სადაც უნარების გამოცდის ჩაბარების გარეშე არ მიიღებიან სტუდენტები)
- ❖ რაოდენობრივი თვალსაზრისით, შევეცდები გამოვიკვლიო თუ რამდენი აბიტურიენტი აპირებს უნარების ჩაბარებას წელს (კითხვარის გამოყენებით აბიტურიენტების მოსაზრების დაფიქსირება)
- ❖ თვისობრივი კვლევის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტების ლექტორების გამოკითხვა (იმავე კითხვარის გამოყენებით მათი მოსაზრების დაფიქსირება და რა თქმა უნდა, ხაზგასმული იქნება თუ ვინ აფასებს დადებითად უნარების შესახებ ახალ რეფორმას)

თემაში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე გადავწყვიტე ჩამეტარებინა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევა. განვსაზღვრე რესპოდენტები, შევადგინე ორი არასტრუქტურირებული და ერთი კონკრეტული კითხვარი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების და უნივერსიტეტების ლექტორებისათვის. კვლევითი ინსტრუმენტი შეიქმნა დამუშავებული მეორადი ინფორმაციის (კანონები, კვლევები და ა.შ.) და ჩემი პირადი დამოკიდებულების, გამოცდილების შეჯამებით. საბოლოოდ, მოხდა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებისა და კვლევების მაჩვენებლების დამუშავება და ანალიზი. კვლევის ჩატარების სპეციფიკას უფრო დეტალურად განვმარტავ ქვემოთ.

იმისათვის, რომ ჩემი პროექტი იყოს მეტად თვალსაჩინო, გადავწყვიტე, ჩამეტარებინა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც აღწერს სტუდენტთა დამოკიდებულებას ბოლონიის პროცესის შედეგად განხორციელებულ რეფორმებისადმი და ასევე თვისობრივი კვლევა რომელიც ასახავს

უნივერსიტეტის ლექტორებისა და აბიტურიენტების მოსაზრებას უნარების გაუქმებასთან დაკავშირებით.

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა სამ სახელმწიფო და სამ კერძო უნივერსიტეტში: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ხოლო თვისობრივი კვლევა ლექტორების გამოკითხვის შემთხვევაში ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შევარჩიე შემდეგი პრინციპით - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ვსწავლობ და აქ არ არის სავალდებულო უნარების ჩაბარება და რადგან მჭირდებოდა ისეთი უნივერსიტეტი, სადაც არ მოითხოვებოდა ეს საგანი და მაინტერესებდა აქ მომუშავე ლექტორების აზრიც, ხოლო დანარჩენ ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის საფეხურზე მისაღებ ეროვნულ გამოცდებში სავალდებულო საგანია უნარები და თავისთავად მათი მოსაზრება ძალიან მნიშვნელოვანია. აგრეთვე თვისობრივი კვლევა ვაწარმოე აბიტურიენტებთან და შერჩევის პრინციპსაც მოგახსენებთ, 141-ე სკოლაში ანუ სადაც ვარ მასწავლებელი და მდებარეობს სანზონაში, 30-ე სკოლაში რომელიც არის მარჯანიშვილზე და სწავლობენ აბიტურიენტები, რომელთაც ვამზადებ ინგლისურ ენაში და მესამე დაწესებულება იყო კერძო სკოლა ,,განათლების თანამედროვე აკადემია“, რაც შეეხება ამ ბოლო სკოლის შერჩევას, უნივერსიტეტის დეკანატში გავიარე პრაქტიკა და იქ მომუშავე თანამშრომელის ახლობლები სწავლობენ იქ და რადგან მაინტერესებდა კერძო სკოლის მოსწავლეების დამოკიდებულებაც, ამიტომაც იქაც გამოვიკითხე.

პირველი კვლევის მიზანი უნივერსიტეტების შერჩევისა, მდგომარეობს შემდეგში:

1. მინდოდა, შემემოწმებინა თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში ბოლონიის პროცესის რეფორმები და რამდენად ინფორმირებულები არიან სტუდენტები ამ საკითხთან მიმართებაში;

2. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს საქართველოში ბოლონიის პროცესის შედეგებს თორმეტი წლის განმავლობაში;

3.რა დამოკიდებულება აქვთ უნარების გაუქმებასთან დაკავშირებით ლექტორებსა და აბიტურიენტებს;

მსურდა, მთელი საქართველოს მასშტაბით გამომეკითხა სტუდენტები და ლექტორები ყველა უნივერსიტეტიდან და რაც შეიძლება ბევრი აბიტურიენტი, მაგრამ დროის სიმცირის გამო შეუძლებელი იყო ამის განხორციელება. თუმცა ყველაზე რთული აბიტურიენტების გამოკითხვის პროცესი იყო და საკმაოდ დიდი დრო დავუთმე ამ ყოველივეს, რადგან უმეტესად სკოლაში არ დადიოდნენ ან ზუსტად ისეთ დროს უწევდათ იქ ყოფნა როდესაც მე გაკვეთილები მქონდა.

ჩემს მიერ არჩეულ თითოეულ უნივერსიტეტში ჩავატარე ორი სახის კვლევა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა, თუმცა რაოდენობრივი კითხვარის შედეგად უფრო მეტი გამოვიკითხე რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დროში შეზღუდული ვიყავი და ვერ მოვასწრებდი ბევრი ადამიანის გამოკითხვას თვისებრივი კვლევის გამოყენებით. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხვა ჩატარდა ექვსივე სამიზნე უნივერსიტეტში. შეგროვდა შემდეგი სახის რაოდენობრივი მონაცემები:

1.იდენტიფიკაცია;

2.სქესი;

3. უნივერსიტეტი;

4. სწავლების საფეხური;

5. ბოლონიის პროცესის შეფასება;

6. აკრედიტაციის ნაკლოვანებები;

7. სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა;

8. კრედიტების ტრანსფერირების შეფასება;

9. ხარისხის ცენტრის საქმიანობის შეფასება ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით.

ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით სულ გამოვიკითხე 75 რესპონდენტი, გამოვსახე ზემოთ ხსენებული კრიტერიუმების მიხედვით და მეტი თვალსაჩინოებისთვის მონაცემები შევიტანე SPSS პროგრამაში. შემდეგ, დავყავი სხვადასხვა იდენტიფიკატორად და გამოვსახე შესაბამისი ცხრილების მეშვეობით, რომელსაც წარმოვადგენ დანართის სახით.

ეს კრიტერიუმები ზედაპირულად განიხილავს, საქართველოში ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან სიღრმისეული ინტერვიუ ვერ წარიმართებოდა რაოდენობრივი სახის კვლევის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სამივე საფეხურის სტუდენტებში: ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის, აგრეთვე, სხვადასხვა პროფესიის მიხედვით, კერძოდ ესენია: ბაკალავრიატი - იურიდიული, ინფორმატიკის და მართვის სისტემები და დაწყებითი სკოლის პედაგოგიური განათლება; მაგისტრატურა- განათლების ადმინისტრირება და კვლევები, ბიზნესი, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ანგლისტიკა; დოქტორანტურა: პოლიტიკის მეცნიერებები.მიზეზი იმისა, თუ რატომ ავირჩიე ზემოთ აღნიშნული პროფესიები და სწავლების საფეხურები, არის ის, რომ მაინტერესებდა სხვადასხვა დონისა და მიმართულების სტუდენტების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა ბოლონიის პროცესისადმი.

რაც შეეხება კონკრეტული გამოკითხვის მეთოდს, კვლევა უმეტესად განვახორციელე რეალური ინტერვიუირების სახით და ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, ინტერნეტის მეშვეობით. უმეტესად გამოკითხული სტუდენტები არ იყვნენ გათვიცნობიერებული ბოლონიის პროცესის საკითხებში, ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა მასზე და ამ ფაქტორმა ძალიან გამაოგნა. თუმცა, ასეთ რესპონდენტებთან მაინც ჩავატარე გამოკითხვა, რა თქმა უნდა, ჯერ მოკლედ ჩამოვუყალიბე თუ რას გულისხმობდა ეს პროგრამა და შემდეგ გამცეს პასუხი დასმულ კითხვებზე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პიროვნებამ არაფერი იცოდა ბოლონიის პროცესზე, მათ უარი არ მითხრეს ინტერვიუზე და დაინტერესდნენ ამ საკითხით. აქედან გამომდინარე, მივიჩნევ,

რომ კვლევა ამ მხრივ განვახორციელე წარმატებულად და ვფიქრობ, ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილე ყურადღება.

ცხრილი 1 : კრედიტების ტრანსფერირების შეფასება

დადებითი	N	Valid	56
		Missing	0
	Mean		1.00
უარყოფითი	N	Valid	19
		Missing	0
	Mean		2.00

დიაგრამა 1 : კრედიტების ტრანსფეროს შეფასება



აქ წარმოდგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემის შეფასება, რომელიც პროცენტულად ასეა განაწილებული : დადებითი - 56% და მონაცემების საშუალო არითმეტიკული გამოთვლის მაჩვენებელი - 1.00

დიაგრამა 2 : კრედიტების ტრანსფერის შეფასება



ამ დიაგრამაზე გამოსახულია მონაცემი; კერძოდ, კრედიტების ტრანსფერირების შეფასების უარყოფითი კრიტერიუმი არის - 19%, ხოლო არითმეტიკული საშუალო: 2.00-ის ტოლია.

ქვემოთ წარმოდგენილი ორი ჰისტოგრამა გვიჩვენებს ბოლონიის პროცესის შეფასებას სქესის მიხედვით. იგი პროცენტულად ამგვარად არის განაწილებული -

ქალი - დადებითი დამოკიდებულება : 85% ;
უარყოფითი დამოკიდებულება : 10% და
არ ვარ ინფორმირებული : 5%.

ნახაზი- 1 : ბოლონიის პროცესის შეფასება



ხოლო, კაცი - დადებითი დამოკიდებულება : 82% ;
უარყოფითი დამოკიდებულება : 9% და
არ ვარ ინფორმირებული : 9%.

ნახაზი 2 : ბოლონიის პროცესის შეფასება



ეს ცხრილი შევადგინე გამოკითხვის ერთ-ერთ საკითხზე დაყრდნობით, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. ქვემოთ მოცემული სქემა შეიცავს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფას უნივერსიტეტებში. კონკრეტულად, გამოკითხული სტუდენტების დამოკიდებულებას მათსავე საგანმანათლებლო დაწესებულებაზე პროცენტული განაწილებით.

ცხრილი 2: უნივერსიტეტები

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	თსუ	1	2.3	2.3	2.3
	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	25	27.3	27.3	29.6
	სოხუმის უნივერსიტეტი	8	9.1	9.1	38.7
	სეუ	8	9.1	9.1	47.8
	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	24	27.2	27.2	75
	Total	75	75	75	

მომდევნო ნახაზები აჩვენებს, თუ როგორია სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა სტუდენტების აზრით მათსავე უნივერსიტეტებში - კარგი, ცუდი თუ საშუალო. ამასთანავე, გამოვსახე პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც უფრო ნათელს ჰფენს მონაცემების განაწილებას ქვემოთ მოცემული დიაგრამების მეშვეობით.

ეს დიაგრამა ასახავს სულ გამოკითხულთა პროცენტულ რაოდენობას უნივერსიტეტების მიხედვით :

დიაგრამა - 3 : უნივერსიტეტების პროცენტული განაწილება



დიაგრამა- 4 : სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის, პროცენტული განაწილება -



კარგი : 45% ;

ცუდი : 10% და

საშუალო : 45%.

თსუ - 10%; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი- 20%; სოხუმის უნივერსიტეტი - 13%; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი - 30% სეუ - 15%; კავკასიის საერთაშორისო - 12% .

ნახაზი - 3 : ეს ჰისტოგრამა, მოიცავს აკრედიტაციის პროცესის ნაკლოვანობებთან რესპონდენტების დამოკიდებულებას და განაწილებულია ამ სიხშირის სახით -

1.აკრედიტაციის პროცესი არის პროცედურაზე ორიენტირებული, რთული და შესაძლოა, სუბიექტურიც კი - 13;

2.აკრედიტაციის სტანდარტები არ არის მკაფიოდ ფორმირებული და გასაგები - 17;

3.აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს მეტისმეტად სწრაფად და უარყოფითად აისახება მის ხარისხზე - 23;

4.ხორციელდება ეროვნულ დონეზე და მასში არ მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპერტები და სააგენტოები - 21.

ნახაზი 3: აკრედიტაციის ნაკლოვანებები



ხოლო რაც შეეხება მეორე კვლევას ანუ ახლახანს განხორციელებულ რეფორმას ბაკალავრიატზე ჩაბარების წინაპირობას, რაც გულისხმობს უნარების სავალდებულო საგნის მოხსნის თაობაზე, როგორც უკვე აღვნიშნე გამოვიკითხე აბიტურიენტები და სხვადასხვა უნივერსიტეტის ლექტორები და შედეგებს დეტალურად განვიხილავ.

სულ გამოვიკითხე 25 აბიტურიენტი და კითხვარი შედგებოდა 4 კითხვისაგან -

1.**რამდენად სწორად მიიჩნევთ ზოგადი უნარების არჩევით საგნად გადატანას?**

ა). სწორია - 11 ;

ბ). არასწორია - 12 ;

გ). არა აქვს მნიშვნელობა - 4 ;

დაასახელეთ მიზეზი რომელიც განაპირობებს თქვენს დამოკიდებულებას -

ამაზე უმეტესად მსგავსი მოსაზრება გამოხატეს, მათი აზრით ზოგადი უნარები არ არის ფაქტობრივ ცოდნაზე ორიენტირებული და ყველა უნდა აბარებდეს ამ საგანს, რადგან ამით არა ცოდნა არამედ ის ეხმარება პიროვნებას გონებრივ განვითარებაში. თუმცა, დანარჩენების აზრით რადგან უნარები არ ისწავლება სკოლაში, მისი ჩაბარება არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად და ფიქრობენ რომ ამ საგნის გამო დაიტვირთებიან ზედმეტი შრომით.

2.მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა აპირებთ თუ არა ზოგადი უნარების ჩაბარებას?

ა). კი - 2 ;

ბ). არა - 23 ;

3.აპირებთ თუ არა ზოგადად მეოთხე საგნის ჩაბარებას?

ა). კი - 5 ;

ბ). არა - 20;

თუ აბარებთ დაასახელეთ რომელს?

პასუხები ასეთი იყო - ბიოლოგია - 2, მათემატიკა - 1, ქიმია - 2 და დანარჩენი არ აპირებს მეოთხე საგნის ჩაბარებას.

4.ზოგადი უნარების ჩაბარების მოთხოვნა განსაზღვრავს თუ არა თქვენს არჩევანს უნივერსიტეტების ჩამონათვალის გაკეთებისას?

ა). კი - 6;

ბ). არა - 19 ;

რატომ ?

ვინც დადებითი პასუხი გასცა მათ ასე გამოხატეს თავისი აზრი - კი , რადგან ყველას უნდა შეეძლოს ზოგადი უნარების ტესტებში დამაკმაყოფილებელი ქულის მიღება, ხოლო ისინი ვინც არ დაეთანხმა არ განმარტეს თავისი დამოკიდებულება.

ვფიქრობ ამ კვლევის გამოკითხულთა მცირე რაოდენობის გამო, არ არის საჭირო დიაგრამების აგება, შედეგი ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი იყო ანონიმური, ზოგიერთმა უარი მაინც განაცხადა, რამაც ძალიან გამაკვირვა. აქედან გამომდინარე, დავასკვენი რომ სტუდენტები ანუ ისინი ვინც იციან თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს რომ მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვაში და ასევე მიაჩნიათ რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და არ რცხვენიათ დააფიქსირონ თავისი დამოკიდებულება, ასევე გარდა იმ კონკრეტული კითხვებისა უჩნდებოდათ სხვა დამატებითი კითხვები და მათთან ინტერვიუ ძალიან სასიამოვნო იყო.

მესამე კითხვარი რომელიც ისევ უნარების გაუქმებაზეა დაკავშირებული, როგორც ზემოთ განვმარტე ამასთან დაკავშირებით გამოვკითხე სამი უნივერსიტეტის ლექტორები, რადგან მანამდე ჩატარებულ ორ კვლევას საკმაოდ დიდი დრო დავუთმე, შემდეგ კი დაიწყო შუალედურები და გამოცდები, ამიტომ ძალიან გამიჭირდა ლექტორებთან შეხვედრა, რამდენჯერმე მომიწია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტზე, რადგან პრაქტიკის განმავლობაში ძირითადად იქ მიწევდა ყოფნა, დროულად და ყოველგვარი ხარვეზის გარეშე ჩავატარე გამოკითხვა.

სულ გამოვიკითხე 15 ლექტორი, თითოეულიდან ხუთ-ხუთი და ქვემოთ წარმოვადგენ შედეგის ანალიზს. გამოკითხვის მეთოდი: ინტერვიუ (თვისობრივი)

1.დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება უნარების, როგორც სავალდებულო საგნის მოსხნის თაობაზე -

უმრავლესობა მიიჩნევს რომ მოსაზრება უარყოფითია და მათი მოსაზრება ასეთია ეეგ. ან საერთოდ უნდა გაუქმდეს ან უნდა შენარჩუნებულიყო არსებული სახით

და ეს საგანი აუცილებელი იყო მომავალი სტუდენტებისთვის, რაც ეხმარებოდათ საუნივერსიტეტო გარემოში აკადემიურ პროცესისადმი ადაპტაციაში. ზოგიერთი მათგანი კი ფიქრობს, რომ უნარების გამოცდის გაუქმება არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებულ საგნებში არ იქნება შესული უნარების დამადასტურებელი საკითხები.

2.თქვენი აზრით, ზოგადად როგორ შედეგს მოიტანს ეს რეფორმა? მოგეხსენებათ უნარები ავითარებს როგორც მათემატიკურ ასევე ვერბალურ უნარებს და ამ ეტაპზე სტუდენტებს აღარ მოუწევთ ამ მხრივ ზედმეტი გონებრივი დატვირთვა -

ამ კითხვაზე უმეტესად მსგავსი მოსაზრება ჰქონდათ, მათი აზრით ნაკლებად მომზადებულ აბიტურიენტებს მიიღებს უსდ-ები და შესაბამისად შედეგი უარყოფითი იქნება, ასევე შესაძლებელია უნარები ჩანაცვლდეს მათემატიკის სავალდებულო გამოცდით. ხოლო ერთმა მათგანმა სრულიად განსხვავებული იდეა გამოხატა, კერძოდ ნებისმიერი სასიკეთო რეფორმა თუ სწორად ხორციელდება სიკეთის და წარმატების მომტანია.

3.როგორც იცით, რამდენიმე უნივერსიტეტში უნარები მაინც დარჩა სავალდებულო საგნად და როგორ ფიქრობთ რამ განაპირობა ეს ფაქტი. ამის გამო თუ არ დაგროვდებიან საკმარისი რაოდენობის სტუდენტები, რა უნდა მოიმოქმედოს უნივერსიტეტმა?

ლექტორების აზრით, უნივერსიტეტები (ზოგიერთი) ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი მოთხოვნები. უნივერსიტეტებს მიეცათ არჩევანის თავისუფლება და საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპეტენციების მიხედვით თავად ადგენენ ჩასაბარებელ საგნებს და ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს კონტიგენტზე. ზოგიერთის აზრით კი უნივერსიტეტი დამოუკიდებლად დანიშნავს გამოცდებს.

4.როგორ გგონიათ წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, სტუდენტები რომლებიც უნარებს აბარებდნენ ახდენდა თუ არა ეს რაიმე გავლენას მათ ცოდნაზე?

ა). დიახ - 6

ბ). არა - 0

გ). ნაწილობრივ - 9

კერძოდ რაში გამოიხატებოდა?

ვინც შემოხაზა მესამე პასუხი ანუ ნაწილობრივ, მათი აზრით სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ მომზადებულები შემდგომი საფეხურისათვის; უნარი ზოგადად ადამიანის ის მდგომარეობაა, რომელსაც გამოცდის ჩაბარება ან არ ჩაბარება არ წყვეტს;

5.მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე საგნად უნარების ჩაბარება აღარ მოითხოვს უნივერსიტეტთა უმრავლესობა, სამაგიეროდ სტუდენტს მოუწევს მის მაგივრად ჩააბაროს სხვა ნებისმიერი საგანი და როგორ გგონიათ ეს უკეთესი ხომ არ არის იმ მხრივ, რომ აბიტურიენტების უმრავლესობა აირჩევს ისეთ საგანს, რომელიც უშუალო კავშირში იქნება მის პროფესიასთან, ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

ა). დიახ ვეთანხმები - 15

ბ). არა არ ვეთანხმები - 0

გ). არ აქვს მნიშვნელობა - 0

დააკონკრეტეთ მიზეზი რომელიც განაპირობებს თქვენს დამოკიდებულებას

გარკვეულწილად ასეა, უნივერსიტეტებს აქვთ მეტი არჩევის შესაძლებლობა, თუმცა არჩევანი მანამდეც დიდი იყო. ბუნებრივია, როდესაც სტუდენტი ირჩევს პროფესიას, სასურველია ის საგანი ჩააბაროს, რომელიც მის არჩევანთან არის ახლოს.

ამ კითხვაზე ყველა რესპოდენტმა დადებითი პასუხი გასცა, რაც სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ის საგნები რომელსაც აბარებს აბიტურიენტი უშუალო კავშირში უნდა იყოს მომდევნო პროფესიასთან და ვემხრობი იმ ლექტორების მოსაზრებას, რომელთა აზრითაც უნარები სხვა საგნითაც შეიძლება გაიზომოს და ცალკე საგანის სახით არ იყოს გამოკვეთილი.

6.რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეს რეფორმა, იმის ფონზე რომ საატესტატო გამოცდებიც გაუქმდა?

ა). მეტ-ნაკლებად - 5

ბ). სრულიად - 0

გ). არ არის სამართლიანი - 10

7.პირადად თქვენთვის განათლების სისტემის რომელი სტანდარტია მისაღები?

ა). ახლანდელი (საატესტატო გამოცდების და უნარების გაუქმება) – 2

ბ). გასული წლების (საატესტატო გამოცდების და უნარების არსებობა) – 0

გ). არცერთი - 13

გამოკვეთეთ თქვენი აზრი, რომელ მოდელს ისურვებდით?

თუ მოსწავლეთა და პედაგოგთა მოტივაცია იქნება მაღალი, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მოდელს; სასკოლო გამოცდების გაძლიერებას და ეეგ გაუქმებას;

ამ ბოლო კითხვაზე ზუსტად გამოჩნდა მათი დამოკიდებულება ახლანდელ და ადრე არსებულ გამოცდებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა რომ თითქმის ყველამ დააფიქსირა რომ არცერთ მოდელს ემხრობა, თავი შეიკავეს ზუსტად გამოეკვეთათ თავისი სასურველი მეთოდი, თუ რა იყო მათთვის მისაღები.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს მთავარი მიზანია ხარისხიანი განათლების მიღება, ეს უმნიშვანელოვანესი ფაქტორია ქვეყნის სიძლიერისათვის, ამ მხრივ უფრო მეტად განვითარებულია ევროპის ქვეყნები. განათლება ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის, მაგრამ ყველა სახელმწიფოს შემუშავებული აქვს თავისი სტანდარტი და მისი მეშვეობით ხელმძღვანელობენ.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს რამდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია განათლება, კერძოდ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების წინაპირობა, საქათველოსა და რამდენიმე უძლიერეს განვითარებულ ქვეყანაში. მათი განხილვის ფონზე გამოიკვეთა თუ როგორ გადადიან საფეხურიდან საფეხურზე მოსწავლეები და რა მხრივ ხდება სტუდენტების შერჩევა. ხოლო რაც შეეხება გამოკითხვის შედეგებს, ბოლონიის პროცესთან და საქართველოში უნარების რეფორმასთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღვნიშნე ყველა სტუდენტი უნდა იყოს ინფორმირებული თუ რას მოიცავს ბოლონიის პროცესი და მისი მნიშვნელობა. ვიმედოვნებ სულ მალე ჩვენი განათლების სისტემა მისაბაძი იქნება. საქართველო თანდათან მიისწრაფვის განვითარებისაკენ, ამიტომ ხშირად იცვლება განათლების რეფორმები, ამ შემთხვევაში აქცენტი მაქვს უნივერსიტეტში მისაღებად უნარების საგნის მოხსნის თაობაზე და ვფიქრობ, იმ მომავალ სტუდენტებს რომლებსაც არ სურდათ უნარების ჩაბარება აქვთ დადებითი დამოკიდებულება ამ საგნის ჩაბარების მოხსნის გამო, ხოლო ვინც მიიჩნევს რომ უნარები ავითარებს როგორც ვერბალურ ასევე მათემატიკურ უნარებს, მათ არ მოეწონათ ეს ცვლილება, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ისინი მაინც არ აპირებენ ამ კონკრეტულ საგნის ჩაბარებას.

საბოლოოდ, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევებისა და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რამდენად მისაბაძი განათლების სტანდარტები არის ჩვენს ქვეყანაში და რამდენად შედეგიანია თითოეული მათგანი პიროვნების განვითარების, მომავლის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

რეკომენდაციები

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ბოლონიის პროცესზე, ხოლო იმ პიროვნებების პასუხებმა, რომლებმაც იცოდნენ ამ საკითხის შესახებ, მიჩვენა, რომ ბოლონიის პროცესს დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითიც საკმაოდ ბევრი აქვს.

რეკომენდაციები უმაღლეს სასწავლებლებს

პირველ რიგში, ჩემი კვლევის შედეგიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საჭიროა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა არის ბოლონიის პროცესი; კარგი იქნება, თუ სტუდენტები უკეთ გაერკვევიან თანამედროვე სწავლების მიმდინარეობასა და იმ ნიუანსებში, რომელსაც განაპირობებს ზემოთ ხსენებული პროცესი და რომელთა მონაწილენიც თავად არიან.

ამისათვის საჭიროა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ ჩატარდეს ტრენინგები თუ საჯარო ლექციები სტუდენტებისთვის, მიეცეს მათ საკითხის უკეთ გაცნობის საშუალება.

გარდა ამისა, კარგი იქნება, პერიოდულად ჩატარდეს კვლევა იმაზე, თუ რამდენად გაუმჯობესდა საზოგადოებაში ინფორმირებულობის დონე ბოლონიის პროცესის შესახებ და შემუშავდეს კვლევებისათვის საჭირო სტრატეგიები.

უმჯობესი იქნება, თუ უმაღლესი სასწავლებლების ყურადღება სრულად იქნება მიმართული სწავლის ხარისხის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის შედეგებმა აჩვენა აკრედიტაციის უარყოფითი მხარეებიც, საჭიროა ამ მხრივაც მოხდეს გარკვეული ცვლილებები.

რეკომენდაციები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს

1. აკრედიტაციის პროცესი ნაკლებად იყოს ორიენტირებული თავად პროცედურაზე, არ იყოს რთული და სუბიექტური.

2. კარგი იქნება, თუ აკრედიტაციის სტანდარტები გახდება უფრო მკაფიოდ ფორმულირებული და გასაგები.

3. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს ძალიან სწრაფად, უმჯობესია თუ ეს პროცესი უფრო გაიწელება დროში და უკეთესად იქნება ორიენტირებული შედეგზე, რაც შემდგომში დადებითად აისახება მისივე ხარისხზე.

4. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის საკითხი, რომ აკრედიტაციის პროცესი არ ხორციელდებოდეს მხოლოდ ეროვნულ დონეზე, უმჯობესია, მასში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები და სააგენტოები

5.აკრედიტაციის პროცესისას აქცენტი უნდა გაკეთდეს აკადემიური პროგრამის შინაარსობრივი მახასიათებლების შეფასებაზე.

გარდა ყველა ზემოხსენებულისა, კარგი იქნება თუ გარკვეული ყურადღება დაეთმობა დარგობრივი კურსების არარსებობისა და დოქტორანტურის დაფინანსების პრობლემებსაც. ასევე, უმჯობესია, დოქტორანტურაში აქცენტი უმეტესად გაკეთდეს კვლევებზე და არა თეორიულ სწავლებაზე.

ამ ყველაფრის გათვალისწინება, ვფიქრობ, დადებითად აისახება ბოლონიის პროცესის მიმდინარეობაზე ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოება გახდება უფრო ინფორმირებული, სწავლების პროცესი კი იქნება გამჭვირვალე, ხარისხიანი და შედეგზე მაქსიმალურად ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. (2005). *ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები*, თბილისი: 250გვ.
2. ფონდი ღია საზოგადოება და საქართველო. (2016). *ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები,* თბილისი: 145გვ.
3. Glonti, L. & Chitashvili, M. (2006). *The Challenge of Bologna. The Nuts and Bolts of Higher Education Reform in Georgia,* Tbilisi:
4. Chokheli, E. (2015). *STRATEGY OF INTERNATIONALIZATION FOR THE HIGHER EDUCATION SYSTEM (ON THE EXAMPLE OF GEORGIA),* Tbilisi:
5. ბოლონიის პროცესი. ბოლო ნახვა 29.11.2020 http://eqe.ge/geo/static/311/Internationalization/Bologna-Process
6. ბოლონიის ცვლილებები. ბოლო ნახვა 29.11.2020 https://books.google.ge/
7. ესპანეთის განათლების სისტემა. ბოლო ნახვა 28.11.2020 https://www.mdpi.com/2227-7102/9/4/247
8. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2018-2024). *სტრატეგიული განვითარების გეგმა.* ბოლო ნახვა 28.11.2020 https://www.tsu.ge/data/file_db/PR/Strategic%20Development%20Plan.pdf
9. იტალიის განათლების სისტემა. ბოლო ნახვა 29.11.2020 https://www.oecd.org/spain/41014632.pdf
10. კვლევა-ინტერდისციპლინალური სწავლების ინსტრუმენტი გერმანიაში. ბოლო ნახვა 30.11.2020 https://www.mdpi.com/2227-7102/9/4/247
11. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. ბოლო ნახვა 12.11.2020 http://www.mes.gov.ge/content.php?id=7611&lang=geo
12. პიზის კვლევის შედეგები (2015). ბოლო ნახვა 12.01.2020 http://www.oecd.org/pisa/test/PISA-2018-Released-New-REA-Items.pdf

13. საქართველოს გამოცდების ეროვნული ცენტრი. ბოლო ნახვა 12.11.2020 https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/კვლევის%20ანგარიში.pdf?fbclid=IwAR0_v8h-omuYuQWs-0zQb6Ng8Ceu9EA-jca4HbfaBknKpu6W44EH0gfVTxI
14. სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში
15. (კვლევის ანგარიში). ბოლო ნახვა 27.11.2020 https://www.oecd.org/pisa/pisa-2015-results-in-focus.pdf
16. სტატიები განათლებაზე, უნივერსიტეტის საიტი. ბოლო ნახვა 30.11.2020 https://id.elsevier.com
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ბოლო ნახვა 15.01.2020 https://naec.ge/#/ge/post/1493
18. Bologhna declaration. ბოლო ნახვა 15.01.2020 http://www.eees.es/pdf/bolognaEUA.pdf

დანართი 1.

1.როგორ აფასებთ ბოლონიის პროცესის შედეგებს საქართველოში?

- დადებითად
- უარყოფითად
- არ ვარ ინფორმირებული

2.აკრედიტაციის პროცესის ნაკლოვანებებია:

- აკრედიტაციის პროცესი არის პროცედურაზე ორიენტირებული, რთული და შესაძლოა სუბიექტურიც კი;
- აკრედიტაციის სტანდარტები არ არის მკაფიოდ ფორმირებული და გასაგები;
- აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს მეტისმეტად სწრაფად და უარყოფითად აისახება მის ხარისხზე
- ხორციელდება ეროვნულ დონეზე და მასში არ მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპერტები და სააგენტოები.

3. როგორია სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა თქვენს უნივერსიტეტში?

- კარგი
- ცუდი
- *საშუალო*

4. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემის შეფასება:

- დადებითი
- უარყოფითი
- არ ვარ ინფორმირებული

5.ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მუშაობის შეფასება ბოლონიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცესების განსახორციელებლად:

- დადებითი
- უარყოფითი

ქვემოთ წარმოდგენილია- დანართი 2 :

ID	სქესი	უნივერსიტეტი	სწავლების საფეხური	ბოლონიის პროცესის შეფასება	აკრედიტაციის ნაკლოვანებები	სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა	კრედიტების ტრანფერირების შეფასება	ხარისხის ცენტრის საქმიანობის შეფასება
1	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	დადებითი
2	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	2	კარგი	დადებითი	დადებითი
3	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	1	კარგი	დადებითი	დადებითი
4	მამაკაცი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	უარყოფითი	1	კარგი	დადებითი	დადებითი
5	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	4	კარგი	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
6	მამაკაცი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	2	კარგი	დადებითი	დადებითი
7	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	4	კარგი	დადებითი	დადებითი
8	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	2	კარგი	დადებითი	დადებითი
9	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	დადებითი	1	კარგი	დადებითი	დადებითი
10	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	დადებითი
11	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	2	საშუალო	დადებითი	დადებითი
12	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	დადებითი
13	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	დადებითი
14	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	დადებითი	დადებითი
15	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	უარყოფითი	2	საშუალო	დადებითი	უარყოფითი
16	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	უარყოფითი	2	საშუალო	დადებითი	უარყოფითი
17	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	უარყოფითი	1	კარგი	უარყოფითი	არ ვარ ინფორმირებული
18	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	2	საშუალო	დადებითი	დადებითი
19	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	დადებითი	დადებითი
20	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
21	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
22	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
23	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	დადებითი	დადებითი

24	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	დადებითი	დადებითი
25	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	2	საშუალო	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
26	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	1	საშუალო	უარყოფითი	არ ვარ ინფორმირებული
27	მამაკაცი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	უარყოფითი	3	საშუალო	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
28	მამაკაცი	თსუ	მაგისტრატურა	დადებითი	1	საშუალო	უარყოფითი	დადებითი
29	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	დადებითი	დადებითი
30	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	უარყოფითი	4	კარგი	დადებითი	უარყოფითი
31	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	2	კარგი	დადებითი	დადებითი
32	ქალი	სეუ	ბაკალავრი	არ ვარ ინფორმირებული	2	საშუალო	დადებითი	დადებითი
33	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	უარყოფითი	უარყოფითი
34	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	3	ცუდი	დადებითი	დადებითი
35	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	დადებითი	დადებითი
36	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	უარყოფითი	უარყოფითი
37	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	2	კარგი	უარყოფითი	უარყოფითი
38	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	დადებითი	დადებითი
39	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	1	კარგი	დადებითი	დადებითი
40	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	1	კარგი	დადებითი	დადებითი
41	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	უარყოფითი	4	საშუალო	დადებითი	დადებითი
42	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	უარყოფითი
43	მამაკაცი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	არ ვარ ინფორმირებული	3	კარგი	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
44	მამაკაცი	აღმოსავლეთ ევროპის	ბაკალავრი	არ ვარ ინფორმირებული	3	კარგი	დადებითი	დადებითი
45	ქალი	ილიას სახელმწიფო	ბაკალავრი	დადებითი	3	კარგი	უარყოფითი	უარყოფითი
46	ქალი	აღმოსავლეთ ევროპის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	დადებითი
47	ქალი	ილიას სახელმწიფო	ბაკალავრი	დადებითი	3	კარგი	დადებითი	დადებითი
48	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	2	კარგი	უარყოფითი	უარყოფითი
49	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	3	ცუდი	დადებითი	დადებითი
50	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	უარყოფითი	არ ვარ ინფორმირებული
51	მამაკაცი	სეუ	მაგისტრატურა	დადებითი	4	კარგი	უარყოფითი	არ ვარ ინფორმირე

								ზული
52	ქალი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	3	უარყოფითი	დადებითი	უარყოფითი
53	მამაკაცი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	უარყოფითი	უარყოფითი
54	მამაკაცი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	1	კარგი	დადებითი	დადებითი
55	ქალი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	დადებითი	უარყოფითი
56	ქალი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	2	კარგი	დადებითი	დადებითი
57	ქალი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	2	საშუალო	დადებითი	დადებითი
58	მამაკაცი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	3	ცუდი	უარყოფითი	უარყოფითი
59	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	1	საშუალო	დადებითი	დადებითი
60	ქალი	ილიას სახელმწიფო	მაგისტრატურა	დადებითი	4	საშუალო	დადებითი	დადებითი
61	მამაკაცი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	2	კარგი	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
62	მამაკაცი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	1	კარგი	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
63	მამაკაცი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	1	კარგი	დადებითი	არ ვარ ინფორმირებული
64	მამაკაცი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	3	ცუდი	დადებითი	უარყოფითი
65	მამაკაცი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	3	საშუალო	უარყოფითი	დადებითი
66	მამაკაცი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	3	კარგი	დადებითი	უარყოფითი
67	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	1	კარგი	დადებითი	უარყოფითი
68	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	4	საშუალო	უარყოფითი	უარყოფითი
69	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	2	საშუალო	უარყოფითი	უარყოფითი
70	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	4	საშუალო	უარყოფითი	არ ვარ ინფორმირებული
71	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	1	საშუალო	უარყოფითი	არ ვარ ინფორმირებული
72	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	3	საშუალო	უარყოფითი	დადებითი
73	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	3	კარგი	დადებითი	უარყოფითი
74	ქალი	კავკასიის საერთაშორისო	დოქტორანტურა	დადებითი	3	კარგი	დადებითი	უარყოფითი
75	ქალი	სოხუმის	მაგისტრატურა	დადებითი	3	საშუალო	უარყოფითი	უარყოფითი

დანართი3

კითხვარი (ლექტორებისთვის)

გამოკითხვის მეთოდი: ინტერვიუ (რაოდენობრივი/თვისობრივი)

1.დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება უნარების, როგორც სავალდებულო საგნის მოხსნის თაობაზე

2.თქვენი აზრით, ზოგადად როგორ შედეგს მოიტანს ეს რეფორმა? მოგეხსენებათ უნარები ავითარებს როგორც მათემატიკურ ასევე ვერბალურ უნარებს და ამ ეტაპზე სტუდენტებს აღარ მოუწევთ ამ მხრივ ზედმეტი გონებრივი დატვირთვა

3.როგორც იცით, რამდენიმე უნივერსიტეტში უნარები მაინც დარჩა სავალდებულო საგნად და როგორ ფიქრობთ რამ განაპირობა ეს ფაქტი. ამის გამო თუ არ დაგროვდებიან საკმარისი რაოდენობის სტუდენტები, რა უნდა მოიმოქმედოს უნივერსიტეტმა?

4.როგორ გგონიათ წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, სტუდენტები რომლებიც უნარებს აბარებდნენ ახდენდა თუ არა ეს რაიმე გავლენას მათ ცოდნაზე?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

კერძოდ რაში გამოიხატებოდა?

5.მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე საგნად უნარების ჩაბარება აღარ მოითხოვს უნივერსიტეტთა უმრავლესობა, სამაგიეროდ სტუდენტს მოუწევს მის მაგივრად ჩააბაროს სხვა ნებისმიერი საგანი და როგორ გგონიათ ეს უკეთესი ხომ არ არის იმ მხრივ, რომ აბიტურიენტების უმრავლესობა აირჩევს ისეთ საგანს, რომელიც უშუალო კავშირში იქნება მის პროფესიასთან, ეთანხმებით ამ მოსაზრებას ?

ა) დიახ, ვეთანხმები

ბ) არა არ ვეთანხმები

გ) არა აქვს მნიშვნელობა

დააკონკრეტეთ მიზეზი რომელიც განაპირობებს თქვენს დამოკიდებულებას

_____

_____

_____

6.რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეს რეფორმა, იმის ფონზე რომ საატესტატო გამოცდებიც გაუქმდა?

ა) მეტ-ნაკლებად

ბ) სრულიად

გ) არ არის სამართლიანი

7.პირადად თქვენთვის განათლების სისტემის რომელი სტანდარტია მისაღები?

ა) ახლანდელი (საატესტატო გამოცდების და უნარების გაუქმება)

ბ) გასული წლების (საატესტატო გამოცდების და უნარების არსებობა)

გ) არცერთი

გამოკვეთეთ თქვენი აზრი, რომელ მოდელს ისურვებდით ?

_____

_____

დანართი4

კითხვარი (აბიტურიენტებისთვის)

გამოკითხვის მეთოდი: ინტერვიუ (რაოდენობრივი/თვისობრივი)

1. რამდენად სწორად მიიჩნევთ ზოგადი უნარების არჩევით საგნად გადატანას?

ა) სწორია

ბ) არასწორია

გ) არა აქვს მნიშვნელობა

დაასახელეთ მიზეზი რომელიც განაპირობებს თქვენს დამოკიდებულებას _____

_____

_____

2. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა აპირებთ თუ არა ზოგადი უნარების ჩაბარებას?

ა) კი

ბ) არა

3. აპირებთ თუ არა ზოგადად მეოთხე საგნის ჩაბარებას?

ა) კი

ბ) არა

თუ აბარებთ დაასახელეთ რომელს? _____

4. ზოგადი უნარების ჩაბარების მოთხოვნა განსაზღვრავს თუ არა თქვენს არჩევანს უნივერსიტეტების ჩამონათვალის გაკეთებისას?

ა) კი

ბ) არა

რატომ?

_____

_____